ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას შორის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

თამარ სოხაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ სოხაძე, 2023წ.

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა თითოეული დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფოს ყოველი ქმედების მიზანი სწორედ მისი მოქალაქეების უფლებებისა და კონსტიტუციით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის დაცვა არის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას საკუთარი მოქალაქეებისათვის კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მინიჭებული უფლებები, ხშირ შემთხვევაში პრობლემას სწორედ დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო წესრიგის იმგვარი უზრუნველყოფა წარმოადგენს, როდესაც ადამიანის უფლებათა შეზღუდვა გამართლებული, აუცილებელი და მიზნის თანაზომიერია.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედებებისა და საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებზე. სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ უფლებად ჩამოყალიბებას. მოცემულ შემთხვევაში, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა ღიად და საჯაროდ გამოხატონ საკუთარი პოზიცია, მარტივად მიაწვდინონ ხმა კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ზოგჯერ მოქალაქეთა პროტესტი შესაძლოა იყოს მრავალრიცხოვანი, ხმაურიანი და ემოციური, სახელმწიფოს კონსტიტუციითვე აკისრია ვალდებულება დაიცვას შეკრებილი მოქალაქეების უსაფრთხოება. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების პროტესტის ადგილზე ყოფნა ემსხურება ერთი მხრივ, მოქალაქეთა უსაფრთხოებას, ხოლო მეორე მხრივ, საჯაროს წესრიგის დაცვას.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული თითოეული ქმედება ემსახურებოდეს მხოლოდ პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვას და

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა არ გასცენ უკანონო ბრძანება, რომელიც ხელს შეუძლის შეკრებისა და გამოხატვის უფლების რეალიზებას.

აღსანიშნავია, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. კონსტიტუციითა და სპეციალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლოა მისი შეზღუდვა. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან გასცენ კანონიერი ბრძანებები და მითითებები, ხოლო მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ სამართალდამცავების კანონიერ ბრძანებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა ურთიერთმიმართება. გამოკვეთოს, რა შემთხვევაში არის მოქალაქე უფლებამოსილი არ დაემორჩილოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მითითებებს და რა შემთხვევაში წარმოადგენს მისი ქმედება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას - პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას.

ნაშრომში გამოყენებული იქნა დოქტრინალური კვლევის მეთოდი, რათა მომხდარიყო ნაშრომში წარმოდგენილ პრობლემასთან დაკავშირებული როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზი, მისი შინაარსის იდენტიფიცირება და არსებული ხარვეზების გამოვლენა.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების დადგენის გზით ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება არსებული პრაქტიკა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობას.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საკითხის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

ნაშრომის მთავარი საკვანძო სიტყვები: პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი/განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა, მშვიდობიანი შეკრების უფლება,

ABSTRACT

Every democratic country is obliged to take care and protect the rights of their citizens. In democratic and legal states the goal of governmet's every action is to take care of the rights of it's citizens and constitution statements. Despite the fact that every country has that kind of

obligations towards their citizens and based on Universal Declaration of Human Rights and European Convention of Human Rights, sometimes it is legal to restrict the rights of citizens for protecting the rights of others, insofar as is necessary in a democratic society. The right of freedom of assembly is one of the most fundamental rights in democratic country, which helps individs to express their opinions on events, such as actions of governmets or other important events in their society. Exactly that characteristic makes the right of freedom of assembly on of the most efficient rights of every citizen. Resulting the fact that sometimes protests may be noisy and emotional, also many people can gather at one and the same place, governments is obliged to protect safety of participants of demonstrations. On the one side, law enforcings organs are obliged to regulate the manifestation to protect the rights of participants, but on the second side, those organs are obliged to protect public safety and the rights of others. It is important that law enforcing organs should be focused on helping participants express their protest or solidarity and must not give unlawful orders towards the participants of manifestations. That kind of orders will only make it harder for participants to use their constitutional rights. It must be mentioned that the right of freedom of assembly is not an absolute right and can be restricted in cases stated in special legislation. Law enforcing organs have the right to give lawful orders and participants of demonstrations are obliged to obey them. The goal of this research is to find out where ends the right of freedom of assembly and where begins disobedience of lawful orders during manifestations. Also, it must be clear when is not the participant obliged to obey the orders of law enforcing organs and when is disobedience violence of administrative laws. During the research following facts became clear:

Key words of the article: Disobedience of lawful orders of police, The right of freedom of assembly

სარჩევი

შესავალი 7

თავი 1. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო რეგულირება..... 5